ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს ,,დიდი დიღმის ოაზისი"

საფუძველი: №12/1320746-16 26.07.2013წ

მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ.

საკ.კოდი: 01.10.06.001.012

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №6/561 14.05.2019წ.

მშენებლობის სანებართვო მოწმობა – 6/561-1 14.05.2009წ

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური კომპლექსი №3 საცხოვრებელი სახლი.

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (06.08.2013) დადგინდა:

ფასადებზე შეცვლილია ლითონის მოაჯირების ნახატი. შეცვლილია ვიტრაჟების, ფანჯრების და კარების ნახატი, გაბარიტი და ზოგს მონაცვლებული აქვს ადგილი. სადარბაზოს და ავტოსადგომის კარების თავზე დამატებულია გისოსები, აღნიშნული კარების წინ გაუქმებულია კიბის საფეხურები. დამატებულია კონდიციონერი და სატელიტური ანტენები. დამატებულია წყლის მილები და გამწოვი ღიობები.

ფასადი 1-13 ღერძებში: -0.05 ნიშნულზე 5-6 მონაკვეთში გაუქმებულია ორი ფანჯრის ღიობი.

ფასადი 13-1 ღერძებში: +3.60 ნიშნულზე 5-2 მონაკვეთში კარის და ფანჯრის ღიობებზე დამატებულია გისოსები.

1-13 და 13-1 ფასადებზე 5-6; 11-12 და 8-9 მონაკვეთებში შენობის მთელ აყოლებაზე ფანჯრის ღიობები ჩამოწეულია ქვემოთ.

კედლებზე შელესვა შეღებვის ნაცვლად შესრულებულია ცემანტის ხსნარით შეფრქვევა (ბრიზგი) და ღებვა არ ემთხვევა საპროექტოს.

-3.30 ნიშნულზე შეცვლილია ზოგი პილონის ფორმა. 11-12 მონაკვეთში შეცვლილია კუთხის ფორმა. კოლონები გადმოწეულია კედლის სიბრტყიდან. დამატებულია მონოლითური კედლები. 7-9 მონაკვეთში მომატებულია ფართი. +0.00 ნიშნულზე სადარბაზოებში და კიბის უჯრედებში შეცვლილია საფეხურები.

სახურავზე შეცვლილია სამანქანოების ფორმა და გაბარიტრბი, ასევე ღიობები და გარახურვა არ ემთხვევა საპროექტოს. დამატებულია აივნების თავზე გადახურვა და კაპიტალური მოაჯირი, ფართი მომატებულია 21 კვ.მ-ით.

ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოსადგენია აზომვითი ნახაზი და განმარტებითი ბარათი.

ვ. ამისულაშვილი

გ. გეგელაშვილი